



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №03

2013 წლის 23 იანვარი
ქ.ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2013 წლის ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №262 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2013 წლის ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №262 განკარგულებაში და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა ხელშეწყობის 2013 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2. შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა ხელშეწყობის 2013 წლის გეგმაში თანახმად დანართისა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.მუავანაძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა ხელშეწყობის 2013 წლის გეგმა

№	ღონისძიებების ჩამონათვალი	შესრულების დრო	პასუხისმგებელი	თანხა	შენიშვნა
1	მუნიციპალური პირველობა სკოლის მოსწავლეთა შორის ინტელექტუალურ თამაშში „ბრინ-რინგი“	თებერვალი	ახალგაზრდული ცენტრი	1000 ლარი	ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, გამარჯვებული გუნდის გამგზავრება ბათუმში, კულტურული ცენტრების მონახულება
2	შეხვედრა ხანდაზმულ ადამიანებთან „მუდამ გვემასხვრებით“	მარტი	ახალგაზრდული ცენტრი	1500 ლარი	ღვაწლმოსილი, ასაკოვანი ადამიანების მოწვევა ახალგაზრდობის ცენტრში, ფასიანი საჩუქრების გადაცემა
3	ახალგაზრდა ხელოვანთა ნაშრომების პრეზენტაციები	აპრილი-მაისი	ახალგაზრდული ცენტრი	2500 ლარი	შეხვედრები ხელოვანთა სფეროს წარმომადგენლებთან, პოეზიის საღამო, გამოფენები, საუკეთესო ჩანახატების ბუკლეტის სახით დაბეჭდვა
4	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა კვირეული	8-14 აპრილი	ახალგაზრდული ცენტრი	1000	შეხვედრები პედაგოგებთან, მხატვრული კითხვა, ახალგაზრდების მიერ მომზადებული მცირე ნაშრომების პრეზენტაციები
5	ეკო-ტურიზმის კვირეული	ივნისი-ივლისი - აგვისტო	ახალგაზრდული ცენტრი	7000 ლარი	ცნობიერების დონის ამაღლება, (სემინარები, სამუშაო შეხვედრები ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან, სავსე გასვლები ქობულეთში არსებულ ნაკრძალების ტერიტორიაზე, მცირე პრეზენტაციები ეკო-ტურიზმის შესახებ)
6	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული	აგვისტო	ახალგაზრდული ცენტრი	5000 ლარი	სპორტული ღონისძიება, ხელოვანთა გამოფენები, შოუ პროგრამა
7	ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული მცირე პროექტების დაფინანსება	წლის მანძილზე	ახალგაზრდული ცენტრი	4000 ლარი	ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული სათემო პროექტები მათთვის აქტუალურ თემებზე (200-300 ლარი)
სულ				22000 ლარი	